

ახალი ბანათლები

№6 (440) გამოდის 1998 წლიდან


აი ია-ზე უკეთ არაფერი ამთლიანებს ქართულობას

**რატომ უნდა გაგრძელდეს
საზოგადოებრივი
ვაუწყების პროექტი
„საქართველოს
დიდი ათეული“**

პროექტი „საქართველოს დიდი ათეული“ განახლებული საზოგადოებრივი ვაუწყების პროექტია. მისი მიზანია საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, ინტერესის გაღვივება საკუთარი ისტორიის, დიდ ქართველთაგან გაღვივებული ღვაწლის მიმართ. პროექტში მონაწილეობენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, მუსიკათმცოდნეები, ისტორიკოსები, ფილოლოგები და ა.შ. გაცემებში მონაწილეობენ სტუმრები წარადგენენ თავიანთ კანდიდატებს და საზოგადოებას მოუთხრობენ თითოეულის ღვაწლზე, დიად საქმეებსა და მიღწეულ შედეგებზე. პროექტმა საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია: ორი თვის განმავლობაში, წმინდა მეფის – დავით აღმაშენებლის ღვაწლსა და ისტორიას გაეცნო 23000 ადამიანი, ილია მართლის ისტორია 17130-მა წაიკითხა, ექვთიმე აღმაშენებლის ცხოვრებასა და ღვაწლს 3000 ადამიანი გაეცნო. ეს ჩამონათვალი 500-ზე მეტ ბიოგრაფიაზე ვრცელდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა უმრავლესობა ახალგაზრდობაა.

თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი შიპ მურულაშვილი „დიდი ათეულში“ წარადგენს იაკობ გოგებაშვილს. გთავაზობთ მის არგუმენტებს, თუ რატომ ეკუთვნის მას „დიდი ათეულში“ გამორჩეული ადგილი.

გვერდი 8



**განსაკუთრებით
ფორუმის მიმართ
განაწი
ლუკაშელიძის
გვერდი 10**

**„...ღმერთი უნ
ქერძო იქნება“
გვერდი 11**

სკოლის დირექტორთა საზოგადოებრივი

შპს „ლიგო 86ტ“ ბატონობით:

გამოსულია და გრძელდება ხელმოწერა კვალიფიციური რჩევებით, რეკომენდაციებით, კონსულტაციებით, აუდიო და ვიდეომასალით განახლებულ საგნობრივ-მეთოდურ ჟურნალებზე. ჟურნალების მიწოდება მოხდება შეთანხმებით.

დამატებითი პირები
დაგვიკავშირდით ნომრებზე:
822 47 89 19 (ხათუნა)
877 45 50 47 (თამარი)



2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ინტერნეტით რეგისტრაციის აბიტურიენტებმა სარეგისტრაციო ფორმა და საჭირო დოკუმენტაცია 20 მარტამდე უნდა გამოავაზონ ელფოსტაზე – registracia2009@naec.ge

20 მარტის შემდეგ გამოავაზნით განაცხადი აღარ მიიღება.

განაცხადის ფორმის შევსებისას იხელმძღვანელეთ ცნობარით.

განაცხადში აბიტურიენტმა უნდა მიუთითოს:

- საკუთარი რეკვიზიტები (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი და ა.შ.);
- ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი;
- შერჩეული ფაკულტეტების ჩამონათვალი კოდების მითითებით, სასურველი არჩევანის რიგითობის მიხედვით;
- ქალაქი, სადაც სურს გამოცდის ჩაბარება;
- აბიტურიენტმა, რომელიც რეგისტრირდება ელფოსტის მეშვეობით, განაცხადის ფორმაში აუცილებლად უნდა მიუთითოს საკუთარი ელფოსტის მისამართი და საკონტაქტო

ტელეფონი (სასურველია, მიუთითოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები, ნდობით აღჭურვილი პირის ტელეფონის ნომერიც).

შეცდომით შევსებული განაცხადის ფორმის გამოგზავნის შემთხვევაში აბიტურიენტმა 20 მარტამდე უნდა გამოავაზონს ახალი განაცხადი რეგისტრაციისას გავითვალისწინებთ ბოლოს გამოგზავნილ განაცხადს!

განაცხადს უნდა დაერთოს:

- ფერადი ფოტოსურათი – 3X4;
- პასპორტის ან მოქალაქის მოწმობის სკანირებული ასლი;
- საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატის სკანირებული ასლი. იმ შემთხვევაში კი, თუ აბიტურიენტი დამამთავრებელ კლასში სწავლობს – სკოლის დირექტორის მიერ დამონებული ამონაწერი სასკოლო ბრძანებიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ (თუ დოკუმენტი გაცემულია საზღვარგარეთ, ბარათის მიღებისას უნდა წარმოადგინოს ნოტარიულად დამონ-

ებული თარგმანი და განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის (უზნადის N68) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი);

- ბანკის სკანირებული ქვითარი.

ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი: 220101956
ანგარიში: 133531
მიმღები: გამოცდების ეროვნული ცენტრი
ს/კ: 202198727
ან
სსიპ „გამოცდების ეროვნული ცენტრი“
ს/კ: 202198727
„სახალხო ბანკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: 220101480
ანგარიში: 33066836

გადახდის დანიშნულებაში უნდა ჩაინეროს აბიტურიენტის გვარი, სახელი, პირადი ნომერი.

ერთი გამოცდის ჩაბარების საფასურია 10 ლარი.

გათვალისწინეთ: ელფოსტის მოცულობა შეზღუდულია. იმისთვის, რომ არ შეფერხდეს ინფორმაციის სრულად მონოდება, სასურველია, გამოსავაზონ მასალა დაარქივდეს. სასურველია სკანირებული ფაილი იყოს JPG ფორმატში.

რეგისტრაციის შედეგის შემოწმება შესაძლებელი იქნება გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე – www.naec.ge.

ინტერნეტით რეგისტრირებულთა სია განთავსდება რეგისტრაციის დასრულებისას და მონაცემთა ბაზის შექმნის შემდეგ.

თუ აბიტურიენტი, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა ინტერნეტით, ვერ იპოვის საკუთარ თავს (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ნომერი) აღნიშნულ სიაში, უნდა დაგვიკავშირდეს: registracia@naec.ge

საგამოცდო ბარათის მიღებისას აბიტურიენტმა ადგილზე უნდა წარმოადგინოს ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი დოკუმენტის ორიგინალი.

გვერდი 7

აირჩიეთ. სად ისწავლით



სსსკ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2009-2010 სასწავლო წელს აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (885 ადგილი)

ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირება.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (800 ადგილი)

მათემატიკა; კომპიუტერული მეცნიერებები (ქართ. ფრანგ.); ელექტრონიკა; ფიზიკა; ქიმია; ბიოლოგია; ფიზიკური გეოგრაფია; გეოლოგია; გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია; ეკოლოგია; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

იურიდიული ფაკულტეტი (895 ადგილი)

სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო სამართალი.

მედიცინის ფაკულტეტი (160 ადგილი)

სამკურნალო საქმე; სტომატოლოგია; ოკუპაციური თერაპია.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (580 ადგილი)

ფსიქოლოგია; ჟურნალისტიკა (ქართ.-რუს.); პოლიტიკური მეცნიერებანი; საერთაშორისო ურთიერთობები; გეოგრაფია; სოციოლოგია; სოციალური მუშაობა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (730 ადგილი)

ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ფილოსოფია; ისტორია; არქეოლოგია; ეთნოლოგია; კულტურის მეცნიერებები; ხელოვნებათმცოდნეობა; კავკასიოლოგია (ქართ.-რუს.); ამერიკისმცოდნეობა; აღმოსავლეთმცოდნეობა; არაბისტიკა; ირანისტიკა; თურქოლოგია; ებრაისტიკა-არამეისტიკა; არმენოლოგია; ასირიოლოგია; ქართული ფილოლოგია; ინგლისური ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია; ესპანური ფილოლოგია; იტალიური ფილოლოგია; კლასიკური ფილოლოგია; ბიზანტიური ფილოლოგია; ახალი ბერძნული ფილოლოგია; რუსული ფილოლო-

გია; სკანდინავიური ფილოლოგია; სახვითი ხელოვნება; კინო-ტელე ხელოვნება; დანყებითი განათლება.

მხოლოდ დამატებითი სპეციალობები: განათლების მეცნიერებები; იაპონისტიკა; სინოლოგია. საბაკალავრო პროგრამების ხანგრძლივობა - 4 სასწავლო წელი, მოცულობა - 240 კრედიტი, წლიური საფასური - 2250 ლარი.

თსუ აცხადებს მიღებას უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (50 ადგილი)

1. სახვითი ხელოვნება;
2. ტანსაცმლისა და დეკორატიული ქსოვილების დიზაინი. პროფესიული პროგრამების ხანგრძლივობა - 2 სასწავლო წელი, მოცულობა - 120 კრედიტი, წლიური საფასური - 2250 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი 0128, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №210, ტელეფონი: 25-02-76, ფაქსი: 22-51-07, ელ. ფოსტა: dali.kandelaki@tsu.ge, ვებგვერდი: www.tsu.ge

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2008-2009 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აცხადებს მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

- მათემატიკა
- გამოყენებითი მათემატიკა
- გამოყენებითი ელექტროდინამიკა
- ატომური, ბირთვული და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა
- ბიოფიზიკა
- არაორგანული და ორგანული ქიმია
- ფიზიკური და ანალიზური ქიმია
- ქიმიური ექსპერტიზა
- უჯრედისა და განვითარების ბიოლოგია
- მოლეკულური იმუნოლოგია და გამოყენებითი მიკრობიოლოგია
- ბიოსამედიცინო მეცნიერებები
- ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება
- გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია, კარტოგრაფია - გეოინფორმატიკა
- გეოლოგია
- ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა: ბიოფიზიკური ქიმია
- ეკოლოგია, ბიოგეოგრაფია და ისტორიული გეოლოგია
- ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა: "გამოყენებითი ბიოფიზიკა"
- ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა: "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია"

მედიცინის ფაკულტეტი

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა
- ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა
- ციტოლოგია, ჰისტოლოგია
- უჯრედის პათოლოგია

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის მიმართულებით:

- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკური პოლიტიკა
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ეკონომიკური სტატისტიკა
- ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა
- მაკროეკონომიკა

ბიზნესის მიმართულებით:

- ბულალტრული აღრიცხვა
- მარკეტინგი
- ზოგადი მენეჯმენტი
- საერთაშორისო ბიზნესი
- ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი
- ფინანსები და საბანკო საქმე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

- ფილოსოფია
- ინგლისური ფილოლოგია
- ფრანგული ფილოლოგია
- რუსული ფილოლოგია
- არაბული ფილოლოგია
- ირანული ფილოლოგია
- უკრაინისმცოდნეობა
- რუსეთისმცოდნეობა
- საქართველოს ისტორია
- ახალი და უახლესი ისტორია
- თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა
- კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა: კვლევა და მართვა.
- განათლების მეცნიერებები.
- დარგის სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგია
- თეოლოგია
- თურქული ფილოლოგია

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- სოციალური მუშაობა
- სოციოლოგია
- კონფლიქტების ანალიზი და მართვა
- ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება
- ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები
- საერთაშორისო ურთიერთობები

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სემესტრი (2 წელი), პროგრამის მოცულობა - 120 კრედიტი, სწავლის სემესტრული საფასური 1000 ლარი.

საბუთების მიღება იწარმოებს 11 - 25 თებერვლის ჩათვლით, 10-დან 17 საათამდე ფაკულტეტების მიმღებ კომისიაში.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - ი. ჭავჭავაძის №3, თსუ II კორპუსი, ოთახი №63, ტ. 25 04 75;

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - ი. ჭავჭავაძის №36, თსუ V კორპუსი, III სართული;

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - ი. ჭავჭავაძის №8, თსუ VI კორპუსი, II სართული, ოთახი №208, ტ. 23 00 53.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - მალღვი კორპუსი, უნივერსიტეტის ქუჩა №2, VI სართული.

მედიცინის ფაკულტეტი - ი. ჭავჭავაძის გამზ. №5, თსუ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის (ყოფილი "ლეჩკომბინატი") ტერიტორია.

საკონკურსო გამოცდები ჩატარდება 2 - 10 მარტს.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

ი. ჭავჭავაძის №1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, ოთახი №211, ტელ: 22 11 17, 22 78 99.

წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი



გვესაუბრება წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი-მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი **ვასტანგ ფერაძე**.

- ბატონო ვასტანგ, რა ფაქტორებს და სპეციალობებს სთავაზობს უნივერსიტეტი აბიტურიენტებს?

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი ფაკულტეტი:

1. განათლებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა) პედაგოგიკა - დანყებითი განათლება, სკოლამდელი აღზრდა;

ბ) სოციალური მეცნიერებანი-ეურნალისტიკა (ტელე-რადიო, პრესა, სარედაქციო-საგამომცემლო საქმე), საერთაშორისო ურთიერთობები.

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა) ისტორია, ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა).

3. ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტი

ა) ბიზნისი და მართვა - საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, ბიზნისის ორგანიზაცია და მართვა, აუდიტი, ტურიზმი.

4. სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სამართალმცოდნეობა.

მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმილია სამედიცინო ფაკულტეტის დამატება - ფარმაცია, სტომატოლოგია და ვეტერინარიის სპეციალობები. მზად გვაქვს პროგრამა, რომელსაც სულ მალე დასამტკიცებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაციის ცენტრს წარუდგენთ.

- სამედიცინო ფაკულტეტის დამატება, შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვას მოითხოვს. რამდენად არის მზად უნივერსიტეტი ამისთვის?

- მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტმა ამავე შენობის 1500 კვ.მ ფართი შეიძინა, სადაც ამჟამად სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. მომავალი სასწავლო წლიდან, აქ განთავსდება თანამედროვედ მოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები.

წელს უნივერსიტეტი 60 აბიტურიენტს მიიღებს, ხოლო მომავალი წლიდან ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი 2005 წლიდან სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სასწავლებელია. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი კეთილმოწყობილი ფართი თანამედროვე ინტერიერით, აუდიტორიებით, კომპიუტერული ბაზით, სამკითხველო და საკონფერენციო დარბაზებით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მდიდარია სპეციალური თანამედროვე ლიტერატურით.

ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი სამსაფეხურიან სწავლებაზე გადავიდა. ყველა სტუდენტს აქვს საშუალება, გაძლიერებული მეთოდით შეისწავლოს სასურველი უცხო ენა და კომპიუტერული პროგრამები.

- გაქვთ თუ არა კონტაქტი უცხოეთის უნივერსიტეტებთან?

- კონტაქტები გვაქვს ვარშავის სახელმწიფო და ეკონომიკურ უნივერსიტეტებთან. სამომავლოდ ვაპირებთ, საქმიანი ურთიერთობა დავამყაროთ ევროპისა (გერმანია, საფრანგეთი) და აშშ-ს მონიანვე უნივერსიტეტებთან. უცხოეთიდან მოგვივიდა მოწვევები, პროგრამები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის. ასეთ შემთავაზებებს, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით ვთანხმდებით, მით უფრო, როცა ეს კონტაქტები ორმხრივია. აქვე მინდა აღვნიშნო იმ სასიამოვნო ფაქტის შესახებ, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში 9-დან 19 მარტამდე იგეგმება. კერძოდ, სასწავლებელში ლექციების ციკლის ნასაკითხად ჩამოვა ვარშავის უნივერსიტეტის ორი პროფესორი - დავით ყოლბაია და ჰენრიკ პაპროცკი. მათთან ერთად გვეწვევა ვარშავაში მოღვაწე ქართველი მხატვარი დავით პატარაია. დავით ყოლბაია ნაიკითხავს სალექციო კურსს თემაზე: „ევროპული ცივილიზაცია“, ხოლო ჰენრიკ პაპროცკი - „ქრისტიანული ფესვები ევროპაში“. პროფესორები 30-საათიანი სალექციო კურსის ნაიკითხვის შემდგომ სტუდენტებთან ჩაატარებენ ნიშნინ ჩათვლას. სტუდენტებისთვის ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორთა ვიზიტს კიდევ უფრო საინტერესოსა და

მრავალფეროვანს გახდის დავით პატარაიას ექსპოზიცია, რომელიც წმიდა გრიგოლ ფერაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი, მეორე წელია, მონაწილეობს წმიდა გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში. ჩვენთვის დიდი პატივია, მსოფლიოს დიდ მეცნიერებთან ერთად, ჩავეერთოთ აღნიშნულ კონფერენციაში.

- გაიზარდა თუ არა უნივერსიტეტში სწავლის საფასური და არსებობს თუ არა რაიმე სახის სოციალური შედეგები?

- წლიური გადასახადი, ისე როგორც დანარჩენ სასწავლებლებში, ჩვენთანაც გაიზარდა. ყველა სპეციალობაზე სწავლის საფასური 4000 ლარი გაზდა. სტუდენტებს, რომლებიც უმაღლეს შეფასებებს მიიღებენ, დაენიშნებათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით. გარკვეულ შედეგათებს ვუწვევთ სოციალურად დაუცველ ოჯახის შვილებს, დევნილ სტუდენტებს, ხოლო სტუდენტები, რომელთა და-ძმები ჩვენს უნივერსიტეტში სწავლობენ, 20-30 პროცენტით ფასდაკლებით სარგებლობენ. გვყავს ისეთი სტუდენტებიც, რომლებსაც სწავლის საფასურს არ ვახდევინებთ, ეს კატეგორიაა: ომში დაღუპული ოჯახის შვილები ან ახალგაზრდები, რომლებიც თავად იღებდნენ მო-



წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი-მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი **ვასტანგ ფერაძე**.

- აბიტურიენტები ხშირად უპირატესობას იმ სასწავლებლებს ანიჭებენ, სადაც ცნობილი პედაგოგ-მასწავლებლები ასწავლიან. რას ეტყვიან აბიტურიენტებს თქვენი პროფესორის შესახებ?

- უნივერსიტეტში, დაახლოებით, 70 პროფესორ-მასწავლებელი ზრუნავს სტუდენტთა სწავლა-განათლებაზე. შემძლია სიამაყით დავასახელო ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა არასრული სია: ნოდარ ტაბიძე, ზაზა აბაშიძე, ვაჟა შუბითიძე, ლევან მუმლაძე, სოკრატე ჩოჩიშვილი, გიორგი ქირია, გელა საითიძე, ვახტანგ გაბელია, იათამზე მაისურაძე, ციური მსუქნიძე, რუსუდან ცინთათარიშვილი, ნაზი არაბიძე, შოთა ყიზილაშვილი, ლელა თეთრაული, გიორგი ფერაძე, ნანა ჭიკაძე, თენგიზ ენდელაძე, დავით სანდოძე და სხვ. დამეთანხმებით, რომ ამ ჩამონათვალთ ჩვენი პედაგოგების კვალიფიკაციაში ექვსის შეტანა შეუძლებელია.

ამდენად, შემძლია ვუთხრა აბიტურიენტებს, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, აირჩიეთ წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი და თქვენ მიიღებთ განათლებას, რომელიც XXI საუკუნის ყველა სტანდარტით პასუხობს.



აირჩიეთ. სად ისწავლით

სსიპ შოთა მესხიას ზუბლიდის სახელმწიფო ინსტიტუტი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შოთა მესხიას ზუბლიდის სახელმწიფო ინსტიტუტი დაფუძნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ადამიანური და მატერიალური რესურსების ბაზაზე.

ინსტიტუტის მისია

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წარმოდგენს ერთ-ერთ უახლეს უმაღლეს სასწავლებელს, რომელიც, პროგრამული აკრედიტაციისა და ლიცენზიის საფუძველზე, ახორციელებს აკადემიურ საბაკალავრო, პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სახელობო პროგრამებს. 2009-2010 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტი იწყებს სამაგისტრო პროგრამების განხორციელებას.

საზოგადოებრივ მიცნობებთან დაკავშირებული

საზოგადოებრივ მიცნობებთან დაკავშირებული განთავსებულია ინსტიტუტის ადმინისტრაციულ კორპუსში.

ფაკულტეტზე დასაქმებული არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლები. ამ სასწავლო-სამეცნიერო ბაზაზე ხორციელდება ხუთი საბაკალავრო პროგრამა:

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- ისტორია;
- ფარმაცია;
- სამართალმცოდნეობა;
- ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა.

პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

- სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი;
- საბანკო საქმე;
- ფარმაცია;
- საბუღალტრო საქმე;
- მედიის საქმე;
- უაღკოპოლო და ალკოჰოლიანი სასმელების ტექნოლოგია.

სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებას ხელს უწყობს კეთილმოწყობილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ინსტიტუტს აქვს 4 კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა 10 000 წიგნადი ფონდით.

ფაკულტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, საელჩოებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო კონფერენციებში და სანვრთნელ სემინარებში. საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე ცვლილებების კვლევა-სა და დანერგვას ხელს უწყობენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები. ფაკულტეტი ხშირად თავად არის ამ შეხვედრების უშუალო მასპინძელი. ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობით ინტერესდებიან უცხოელი სტუდენტები და მოხალისეები.

აგრარული ფაკულტეტი

აგრარული ფაკულტეტი განთავსებულია ინსტიტუტის სენაკის სასწავლო-სამეცნიერო ბაზაზე. სპეციფიკიდან გამომდინარე, ხორციელდება პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

- აგრარული მენეჯმენტი;
- ვეტერინარია.

ფაკულტეტს აქვს 10 000 წიგნადი ფონდი. აგროქიმიური და დიაგნოსტიკის საველე ლაბორატორიები, მეცხოველეობის სადემონსტრაციო და მეფრინველეობის სასწავლო ფერმები, ქართული და უცხოური ატმის ჯიშების სადემონსტრაციო და 12 ამერიკული ჯიშის მოცხარის სადემონსტრაციო ბალები. მცენარეთა კულტურების ახალი ჯიშების გამოსაცდელი 500 კვ.მ. ფართობის ექსპერიმენტული სათბური.

ფაკულტეტი თანამშრომლობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან.

დაგვიკავშირდით!

ზუგდიდი, ენგურქალაქკომბინატი, ჯანაშიას ქ. № 14. (899) 72 83 76; (8215) 5 61 26 საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

თან, ამერიკის საელჩოს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტთან, აშშ კენტუკისა და კოლორადოს უნივერსიტეტებთან, გერმანიის ტექნიკურ საზოგადოებასთან (GTZ), ნორვეგიის დევილთა საბჭოსთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ფერმერთა გაერთიანებებთან.

ფაკულტეტს ხშირად სტუმრობენ უცხოელი პროფესორები და სოფლის მეურნეობის დარგის ექსპერტები: ჯონ ჯონსი (კენტუკის უნივერსიტეტის მეცხოველეობის დარგში ექსტენციის პროფესორი), ტერი პატრენსი (კენტუკის უნივერსიტეტის ექსტენციის სპეციალისტი), მაიკ რიდი (კენტუკის უნივერსიტეტის ექსტენციის სპეციალისტი). ჯიპასთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე, კოლორადოს უნივერსიტეტის პროფესორის – დევი რეინოლდსის ვიზიტის შედეგად სენაკის ფაკულტეტს გადაეცემა ვეტერინარიის ახალი ლაბორატორია.

სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო კონფერენციებში და სანვრთნელ სემინარებში.

ახალი კვლევების შემოქმედი სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით დაინტერესებული უცხოელი მოხალისეები ქართულ მხარეს საკუთარ გამოცდილებებს სთავაზობენ.

სახელოვანი პროგრამები

• ზუგდიდისა და სენაკის ბაზაზე ინსტიტუტი წარმატებით ახორციელებს სახელობო პროგრამებს:

- ფერმერი;
- ფერმერ-მინათმოქმედი;
- ფერმერ-მეცხოველე;
- ელმონტიორი;
- ვებ-მედია ტექნოლოგიები;
- ტრაქტორისა და ავტომანქანების შემკეთებელი ზეინკალი, მართვის მოწმობის ძირის გაცემით.

შენდება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო-სახელოსნო შენობები პროგრამების განსახორციელებლად:

- კალატოზი;
- ელშემდუღებელი;
- დურგალი;
- აირშემდუღებელი;
- ფართო პროფილის მშენებელი.

შრომების კრებული

სასწავლო-სამეცნიერო სამსახურის ინიციატივით, გამოიცა ინსტიტუტის შრომების კრებული, რომელიც მიეძღვნა ღვანლმოსილი მეცნიერის – შოთა მესხიას ხსოვნას. კრებული ნათლად ასახავს ინსტიტუტის ინტელექტუალურ პოტენციალს. დაიბეჭდა ისტორიის, ფილოსოფიის, ფილოლოგიის, სამართლის, ეკონომიკის, ინფორმატიკის, ქიმიის, ფარმაციისა და ბიოლოგიის მიმართულებების პროფესორ-მასწავლებელთა შრომები, შეიცავს უახლეს სამეცნიერო კვლევებს. რუბრიკა „რეცენზიები“ დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალებას აძლევს, გაეცნოს მეცნიერთა შეფასებებს სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე.

პარტნიორი ორგანიზაციები

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარის ეკონომიკური განვითარებისა და ინსტიტუტის გრძელვადიანი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან.

მემორანდუმი გაფორმდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან, რეგიონის საჯარო სკოლებთან.

დაწესებულება ერთიან პროგრამებს ახორციელებს რეგიონის სხვადასხვა წარმატებულ ბანკთან (ბანკი რესპუბლიკა, სახალხო ბანკი).





უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულება წნორის კოლეჯი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულება – წნორის კოლეჯი დაარსებულია საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის №162 დადგენილების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შედეგად. სასწავლებლის არსებობის 13 წლის განმავლობაში შეიქმნა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩამოყალიბდა სტრუქტურა, განისაზღვრა რეგიონისთვის პრიორიტეტული სპეციალობები და მიმართულებები. 2005 წლიდან, საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის შესაბამისად, განხორციელდა ახალ – ESTS საკრედიტო სისტემაზე გადასვლა, დამუშავდა საგანმანათლებლო პროგრამები, დაინერგა შეფასების ახალი სისტემა, სასწავლო პროცესში ჩართო ინფორმაციული სისტემები. კვლევების განსახორციელებლად შეიქმნა სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები და ცენტრები: ინფორმაციული სისტემების, კულტუროლოგიის, ფრანკოფონიის, დიპლექტოლოგია-ეთნოლოგიის, კავკასიოლოგიის, ამერიკანისტი-

კის. ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით თვისობრივად განახლდა წიგნაღი ფონდი, შეივსო თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურით. მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებისათვის შეიქმნა შედეგზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის ერთიანი, ეფექტური სასწავლო გარემო. სასწავლებელს აქვს მჭიდრო ურთიერთობა რამდენიმე უცხოურ უმალეს სასწავლებელთან, კერძოდ კი, ბურგუნდის, სალონიკის, რეშოვის, კანადის წმიდა მარიამის უნივერსიტეტებთან, რომლებთანაც მოქმედებს გაცვლითი პროგრამები. წნორის კოლეჯის სამომავლო გეგმები თანხვედრითაა რეგიონის სტრატეგიულ განვითარებასთან. ამის თვალნათლივი დასტურია 2009-2010 წლებში დაგეგმილი USAID-ის, კანადისა და ამერიკის კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ასოციაციის ერთობლივი პროექტის „უმალესი პროფესიული განათლება რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.



ამჟამად ფილიალში ფუნქციონირებს 5 ფაკულტეტი:

- 01 – იურიდიული ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)**
0101 – სამართალმცოდნეობა
- 02 – ეკონომიკისა და გიზნის ფაკულტეტი (ბაკალავრიატი და პროფესიული პროგრამები)**
 - ♦ ბაკალავრიატი
 - 0201 – მარკეტინგი
 - 0202 – საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე
 - 0203 – ტურიზმის ბიზნესი
 - 0204 – ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბიზნესი
 - ♦ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
 - 0205 – საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე
 - 0206 – საბუღალტრო საქმე და აუდიტი
 - 0207 – ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბიზნესი
 - 0208 – სასტუმროსა და რესტორნის მენეჯმენტი
 - 0209 – ტურიზმისა და მოგზაურობის მენეჯმენტი
 - 0210 – აგრობიზნესის მენეჯმენტი (მელვინეობა, მევენახეობა)
 - 0211 – ფერმერული მეურნეობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი
 - 0212 – დაცული ტერიტორიების ორგანიზაცია და მენეჯმენტი
- 03 – ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)**
 - ♦ ჰუმანიტარული მიმართულება
 - 0301 – ქართული ენა და ლიტერატურა
 - 0302 – ინგლისური ენა
 - 0303 – გერმანული ენა
 - 0304 – ფრანგული ენა
 - 0305 – კავკასიოლოგია
 - 0306 – ისტორია
 - ♦ სოციალური მიმართულება
 - 0307 – საერთაშორისო ურთიერთობები
 - 0308 – ჟურნალისტიკა
- 04 – ჯანდაცვის ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)**
0401 – ფარმაცია
- 05 – მათემატიკისა და სტატისტიკის ფაკულტეტი (ბაკალავრიატი და პროფესიული პროგრამა)**
 - ♦ ბაკალავრიატი
 - 0501 – გამოყენებითი მათემატიკა
 - ♦ პროფესიული პროგრამა
 - 0502 – ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები



აირჩიეთ. სად ისწავლით

აკრედიტებული უბღიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი
ასხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2009-2010 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო და
უმაღლეს პროფესიულ საბანანათლებლო პროგრამებზე შემდეგ სპეციალობებზე:

ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი
1. სამართალმცოდნეობა;
2. საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე (მაჟორ-მინორი).

ჯანდაცვის ფაკულტეტი
1. ფარმაცია;
2. სტომატოლოგია - 300 კრედიტი.

ჰუმანიტარული ფაკულტეტი
1. ქართული ენა და ლიტერატურა (მაჟორ-მინორი)
2. ინგლისური ენა და ლიტერატურა (მაჟორ-მინორი)
საბაკალავრო პროგრამის მოცულობაა ECTS 240. სწავლის ხანგრძლივობა - 4 წელი.

უმაღლესი პროფესიული პროგრამები
1. ფინანსები და კრედიტი;
2. საბანკო საქმე;
3. ფარმაცია;
4. ორთოპედიული სტომატოლოგია;
5. ზოგადი პროფილის მედდა.
უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა ECTS 140. სწავლის ხანგრძლივობა - 2,5 წელი.



უბღიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი
აცხადებს მიღებას
მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში
შემდეგ სპეციალობებზე:

სამაგისტრო პროგრამები:
1. მენეჯმენტი;
2. სამართალი;
3. ფარმაცია;
4. ქართული ენა და ლიტერატურა;
5. ანგლისტიკა.
სამაგისტრო პროგრამის მოცულობა ECTS 120. სწავლის ხანგრძლივობა - 2 წელი.

სადოქტორო პროგრამები:
1. ეკონომიკის მიმართულებით;
2. ჯანდაცვის მიმართულებით;
3. სამართალმცოდნეობის მიმართულებით;
4. ჰუმანიტარული მიმართულებით.
სადოქტორო პროგრამის მოცულობაა ECTS 180. სწავლის ხანგრძლივობა - 3 წელი.

საკონტაქტო ინფორმაცია: ზუგდიდი, უნივერსიტეტის ქ.№1. ტელ ფაქსი (8215) 52011, მობ.893151226, 893403333
www.zdu.edu.ge, E-mail : zdu@gol.ge



აიზი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი
ასხადებს მიღებას აკადემიური კვალიფიკაციის საბანანათლებლო პროგრამებზე:

სოციალურ მეცნიერებათა მიმართულება:

- საერთაშორისო ურთიერთობები
- ფსიქოლოგია
- ჟურნალისტიკა

ბიზნესისა და მართვის მიმართულება:

- საბანკო და საფინანსო საქმე
- მენეჯმენტი
- ბიზნესის ადმინისტრირება და მართვა

ხელოვნების მიმართულება:

- ბრაფიკული დიზაინი
- რეჟისურა

არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულება:

- არქიტექტურა

აგრეთვე უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის პროგრამებზე:

- ფიზიოთერაპია

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.ibeku-tbilisi.edu.ge
e_mail: info@ibeku-tbilisi.edu.ge
ან შემდეგ საკონტაქტო ნომრებზე: 24 35 47; 24 35 48;
მისამართი: თბილისი, ჭყონდიდელის ქ. №26 (კიკვიძის ბაღის უკან)
ღია კარის დღე - 02. 03. 09, დილის 12 საათიდან.



ბთავაზობთ ინსტრუქციას, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცნოს აბიტურიენტი:

პირველი გვერდიდან

- თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენი არჩევანი საბოლოოა, ნუ აჩქარდებით და განაცხადი შეავსებთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (მაგრამ რეგისტრაციის დასრულებამდე).
- ყურადღებით შეავსეთ განაცხადი, რადგან მითითებული ფაკულტეტებისა და გამოცდების ჩამონათვალი აღარ შეიცვლება!
- სანამ განაცხადის შევსებას შეუდგებით, ცალკე ფურცელზე ამოინერეთ საჭირო ინფორმაცია, გადაამოწმეთ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიტანეთ განაცხადის ფორმაში!
- შესაბამის გრაფებში გადაიტანეთ პირადობის მონომობაში (ან სხვა დოკუმენტში) მოცემული თქვენი სახელი, გვარი, მონომობის სერია და პირადი ნომერი, ასევე სხვა საკონტაქტო ინფორმაცია.
- ზუსტად განსაზღვრეთ თქვენ მიერ არჩეული ფაკულტეტების რიგობა! ჩამონათვალში ცვლილების შეტანა არ მოხდება!
- დაკვირვებით გადაიტანეთ ფაკულტეტების ან პროფესიული პროგრამების კოდები და დასახელებები შესაბამის გრაფებში.
- ფაკულტეტების ჩამონათვლის შევსებისას ყურადღებით და აუჩქარებლად გადაიტანეთ ფაკულტეტის ან პროფესიული პროგრამის კოდი და დასახელება შესაბამის გრაფებში!
- დაკვირვებით მონიშნეთ გამოცდები, რომელთა ჩაბარებასაც აპირებთ, რადგან განაცხადში მითითებული გამოცდების ჩამონათვალი აღარ შეიცვლება!
- კარგად დაფიქრდით, თუ რომელი უცხოური ენის ჩაბარება გსურთ ან რომელ ენაზე აბარებთ დანარჩენ გამოცდებს და მხოლოდ ამის შემდეგ მონიშნეთ შესაბამისი გრაფა, რადგან განაცხადში მითითებული არჩევანი საბოლოოა და აღარ შეიცვლება! გახსოვდეთ: თუ ფაკულტეტს მითითებული აქვს კონკრეტული უცხოური ენა, თქვენ ვალდებული ხართ ჩააბაროთ ეს გამოცდა. თუ ფაკულტეტმა არ მიუთითა კონკრეტული უცხოური ენა ან მიუთითა რამდენიმე, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ერთ-ერთი.
- თუ ირჩევთ ფაკულტეტს, სადაც ბარდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, გაითვალისწინეთ: თქვენ უნდა მიუთითოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტი იმ საგნობრივი ნაწილ(ებ)ით, რომელ(ებ)იც მოითხოვს ფაკულტეტ(ებ)მა. თუ ფაკულტეტმა არ მიუთითა კონკრეტული საგნობრივი ნაწილი, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. თუ აირჩევთ ფაკულტეტებს, რომლებიც ითხოვენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტის ჩაბარებას განსხვავებული საგნობრივი ნაწილებით, დაგემატებათ საგამოცდო დრო.
- სწორად მიუთითეთ საგამოცდო ქალაქი - ქალაქის შეცვლის უფლება აღარ გექნებათ.

განაცხადის ფორმა იხილეთ გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.naec.ge

მოცემული ფორმა ჩატვირთეთ კომპიუტერში და შემდეგ ამოაბეჭდეთ, შეავსეთ ყურადღებით და გამოაგზავნეთ სკანირებული ასლი.

გისურვებთ წარმატებას!

აი ია-ზე უკეთ არაფერი ამთლიანებს ქართველობას

პირველი გვერდიდან

– ძალიან მიკვირს იმ ადამიანების, ვინც ამბობს, რომ „დიდი ათეული“ არ არის საგანმანათლებლო ან შემეცნებითი პროექტი. როდესაც ეს გადაცემა მიდის, დანამდვილებით ვიცი, რომ მას ძალიან ბევრი ადამიანი უყურებს და ბევრ საინტერესო ამბავსაც იცებს. სიმართლე გითხრათ, მეც ბევრი რამ გავიგე. დედამინის ზურგზე ყოველისმცოდნე ადამიანები არ არსებობენ. სოკრატეს კვალდაკვალ ჩვენც შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ „ჩვენ ვიცით ის, რომ არაფერი ვიცით“. მხოლოდ ძალიან მცოდნე ადამიანს შეუძლია ეს თქვას. ჩემი აზრით, დიდი ათეულის მიმართ მოსწავლეების ინტერესი საკმაოდ მაღალია. საერთოდ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა სივრცეში იღებ ინფორმაციას. ჩემს მოსწავლეებს სულ ვეუბნები, დაივიწყეთ, რომ გაკვეთილზე ხართ და „ვეფხისტყაოსანი“ უნდა ჩააბაროთ მასწავლებელს, იფიქრეთ „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც ლიტერატურულ შედეგზე. იფიქრეთ იმ ადამიანზე, რომელიც წერდა ამას, რას ფიქრობდა, როდესაც წერდა. იმიტომ, რომ ის ცოცხალია. ლიტერატურა „კომპარულად“ საინტერესო ამბავია, ეს არის დიალოგი იმ კაცთან, რომლის ძეგლების მტვერიც აღარ არის დარჩენილი. ამ ურთიერთობის ხიბლს ვინც დაიჭრება, სწორედ ის მიხვდება, რა არის ლიტერატურა. ახლა გადაცემაზეც ვთქვათ – როდესაც ამგვარ სივრცეში ხდება ინფორმაციის მიწოდება, ანუ საკონკურენტო სივრცეში, ეს ძალიან არსებითი, ინტერესის აღმძვრელი და მოტივაციის მომცემია. ამ გადაცემით გაიგებ შენთვის უცნობი ადამიანის შესახებ, რომელმაც უამრავი რამ გააკეთა ქვეყნისთვის, გაიგებ ძალიან ნაცნობი ადამიანის ცხოვრებიდან შენთვის უცნობ ფაქტს, მოვლენას. რაც მთავარია, სად, რომელ არხზე, რომელ გადაცემაში ეძლევა შესაძლებლობა ადამიანს, ბევრ საინტერესო, გონიერ ადამიანს მოუხმინოს და მოისმინოს მათი შეფასებები ღვაწლის შესახებ? ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ვფიქრობ და ვერ გამიგია, რა არის ამ გადაცემაში ცუდი. ქართველები ცდილობენ, ობიექტურად შეაფასონ თავიანთი ისტორია. ეს კარგია, როდესაც ერთდროულად ორ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებ –

სად, რომელ არხზე, რომელ გადაცემაში იქლება შესაძლებლობა ადამიანს, ბევრ საინტერესო, გონიერ ადამიანს მოუხმინოს და მოისმინოს მათი შეფასებები ღვაწლის შესახებ?

ახალ ინფორმაციასაც იღებ და გონივრულ შეფასებასაც სწავლობ. ჩემი აზრით, პროექტის უმთავრესი მიზანდასახულებაა, რომ ქართველებმა ისტორიის ობიექტური შეფასება ისწავლონ. ადამიანებმა ერთი რამ ვერ გაიგეს, ალბათ, არასათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი. საინტერესო სწორედ ინფორმირებული საზოგადოების არჩევანია. აბა, დააკვირდით, როგორი 50-ეული მივიღეთ. მასში უამრავი საინტერესო და ღირსეული ადამიანი შესული. მაგალითად: მსახიობები, რომლებიც ძალიან გვიყვარს და ჩვენი ბედნიერებაა, რომ თავში ათასი სახელი და გვარი

ტრიალებს, მაგრამ განზე უნდა გადავდოთ ემოციები და ვთქვათ – ვინ არის ისეთი ქართველი, რომელმაც ეპოქა შექმნა საქართველოსთვის? ვინ არის ის ქართველი, ვინც ქართულ ცნობიერებაზე გარდამტეხი ზემოქმედების მოხდენა შეძლო, ვინც ქართულ საზოგადოებას, სახელმწიფოს, განუუმეორებელი ღვაწლი დასდო, თან ისეთი ღვაწლი, რომელიც დროში განფენილია და სულ მოქმედებს? ვინ არის ასეთი ქართველი? როდესაც თამასა ასე მაღლაა დადებული, მაშინ ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო, საყვარელი, ზოგჯერ ძალიან საამაყო სახელებიც კი მას ვერ სწვდება.

მაქვს ასეთი ამოცანა, უნდა წარვადგინო იაკობ გოგებაშვილი. მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდო ყველას, ვინც პედაგოგია, ვისაც სკოლასთან რაიმე კავშირი აქვს, რომ მხარი დაუჭიროთ ამ ადამიანის ღვაწლს. რატომ? მე რომ მკითხოთ, ეს არის პრინციპის თემა. მაინტერესებს, მოხდება თუ არა ასე, რომ საქართველო თავის კუთვნილ, დამსახურებულ, სრულიად ალიარებულ ადგილს მიაკუთვნებს იმ ადამიანს, რომელიც არის განათლების და მასწავლებლის იდეის განსახიერება საქართველოში. მასწავლებელი ვინ არის? ორი რამ მასხენდება. პირველი – ეს არის ადამიანი, რომელიც დროის გამამთლიანებელია და მეორე – ის არის ცოდნისა და ზნეობის შემცნობი, შემნახავი და გადამცემი ადამიანი. მასწავლებელი რომ არ იყოს, ყველა თაობას თავიდან მოუწევდა ყველაფრის შეცნობა. მასწავლებელი არის ადამიანი, რომელიც კაცობრიობის უზარმაზარ ჯაჭვს ზნეობისა და ცოდნისა გაწვევების შესაძლებლობას არ აძ-

მაქვს ასეთი ამოცანა, უნდა წარვადგინო იაკობ გოგებაშვილი. მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდო ყველას, ვინც პედაგოგია, ვისაც სკოლასთან რაიმე კავშირი აქვს, რომ მხარი დაუჭიროთ ამ ადამიანის ღვაწლს.

ლო თავის კუთვნილ, დამსახურებულ, სრულიად ალიარებულ ადგილს მიაკუთვნებს იმ ადამიანს, რომელიც არის განათლების და მასწავლებლის იდეის განსახიერება საქართველოში. მასწავლებელი ვინ არის? ორი რამ მასხენდება. პირველი – ეს არის ადამიანი, რომელიც დროის გამამთლიანებელია და მეორე – ის არის ცოდნისა და ზნეობის შემცნობი, შემნახავი და გადამცემი ადამიანი. მასწავლებელი რომ არ იყოს, ყველა თაობას თავიდან მოუწევდა ყველაფრის შეცნობა. მასწავლებელი არის ადამიანი, რომელიც კაცობრიობის უზარმაზარ ჯაჭვს ზნეობისა და ცოდნისა გაწვევების შესაძლებლობას არ აძ-



ლევს. როდესაც იაკობ გოგებაშვილზე ვსაუბრობთ, მისი ღვაწლი, ამ თვალსაზრისით, ფანტასტიკურია. ქართველებს გვაქვს სამი დიდი ნიგნი, სამი ძვირფასი რელიქვია: ბიბლია, „ვეფხისტყაოსანი“ და „დედაენა“. გაგიგონიათ, რომ სადმე რომელიმე ერს ნიგნისთვის, ძეგლი დაედგას? ქართველებმა უკვე აირჩიეს იაკობ გოგებაშვილი. მათ გულეში ის ყოველთვის არის. ათასი წლის მერეც რომ შეირჩეს ათეული, იქ იაკობ გოგებაშვილი მაინც იქნება. იმიტომ რომ, ის არ არის უბრალოდ ადამიანი, პერსონა, ის გადაიქცა საგანმანათლებლო ღირებულების აპოთეოზად. აი ია-ზე უკეთესად არაფერი ამთლიანებს ქართველობას.

ყველას აინტერესებს. ილია ჭავჭავაძე რასაც აკეთებდა, იმასაც ეწინააღმდეგებოდა ბევრი ადამიანი, დავით აღმაშენებელს უკიდურესად ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ასევე იყო იაკობ გოგებაშვილიც. იაკობს ასეთი ნათქვამი აქვს – იმდენი ძალისხმევა არ დამიხარჯავს „დედაენის“ დასაწერად, რამდენიც „დედაენაზე“ სხვებისაგან თავდასხმის მოგერიებაზე დამჭირდაო. იაკობს ყველა სახელით მოიხსენიებს. ეს სახელი ტყუპთაგან მეორეს ნიშნავს, ანუ მომდევნოს, შემდეგ კი მან „ღვთის მიმდევრის“ მნიშვნელობა შეიძინა.

იმდენი ძალისხმევა არ დამიხარჯავს „დედაენის“ დასაწერად, რამდენიც „დედაენაზე“ სხვებისაგან დამჭირდა. იაკობ გოგებაშვილი

დენიც „დედაენაზე“ სხვებისაგან თავდასხმის მოგერიებაზე დამჭირდაო. იაკობს ყველა სახელით მოიხსენიებს. ეს სახელი ტყუპთაგან მეორეს ნიშნავს, ანუ მომდევნოს, შემდეგ კი მან „ღვთის მიმდევრის“ მნიშვნელობა შეიძინა.

აი ია იწყებს „დედაენას“, ანუ ბავშვის განათლებას. განათლება ნიშნავს ნათესაობას ადამიანში. ნათელი კი ღვთის სიმბოლური სახელია. სწორედ ამგვარ განათლებას იწყებს იაკობ გოგებაშვილი აი ია-თი.

ცხრა მთავარი მომენტი, რის გამოც აი ია არის გენიალური

აი ია იაკობის გენიალური მიგნებაა. რატომ?
– ეს არის ღვთაებრივი ჰარმონიის გამომხატულება, თვითშემეცნება. მას სარკისებური პრინციპიც აქვს – შენ თავს რომ დაგანახებ, ისეთი. ჯერ კიდევ ძველებმა იცოდნენ, რომ საკუთარი თავის შემცნობი სამყაროსაც შეიმეცნებს. ამიტომაც ეწერა დელოფოსის ტაძრის შესასვლელში: „შეიცან თავი შენი“.
– აი ია არის წინადადება. გოგებაშვილი ბავშვის განათლებას იწყებს პირდაპირ წინადადებით, არა ასოთი ან სიტყვით,

არამედ პრინციპულად – წინადადებით, ანუ აზრით.
– სწავლება იწყება საგნის შეცნობით, აი ია – პირველივე წინადადებით საგანს შეიცნობ. ესეც ძალიან არსებითია.
– ეს არის, აგრეთვე, აღმოჩენის სიხარული, აი ია – ესე იგი აღმოაჩინე რაღაც.
– არანაკლებ არსებითია სახელის დარქმევა საგნისთვის – აი, ყვავილი, რომელსაც ია ჰქვია. სახელის დარქმევა უკვე საგნის შეცნობას ნიშნავს.
– ძალიან მნიშვნელოვანია შემეცნების დაკავშირება ბუნებრივ მშვენიერებას-

თან, სილამაზესთან. როდესაც, ბუნების გარდა, ბავშვის თვალსაწიერშიც ამოდის ია, ეს არის მშვენიერება, ანუ შემეცნების პრინციპად აღებულია ესთეტიზმი.
– ეს არის ზიარება ქართული მეტყველების მუსიკასთან – ხმოვნების საოცარ ჰარმონიასთან.
– ეს არის გრაფიკული გამოსახულების სრულქმნილებაც – როგორც ა, ისე ი სრულყოფილ სიმრგვალეს – წრეს უკავშირდება და განასახიერებს.
– ბიბლიაში ასეთი რამ წერია – ღმერთი არის ანი და ჰოე, ანუ ის არის სამყაროს

დასაწყისი და დასასრული. აი ია-შიც, ამ პატარა წინადადებაშიც სიმბოლურად მთელი სამყაროს ისტორიაა მოცემული (სახეობრივად – განფენა და უკუფენა), ანუ სხენებული დასაწყისი და დასასრული. იაკობის შესანიშნავი მიგნება ათწლეულების შემდეგაც ახალი რაკურსით წარმოგვიდგება, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ეს კაცი იყო დაუმაღლებელი გენიოსი და ძალიან ბევრ რამეზე იფიქრა, სანამ შექმნა ეს შედეგები. აი ია – ეს არის ყველაზე პატარა და იქნებ ყველაზე ძალმოსილი შედეგრიც ქართული ცნობიერების ისტორიაში.

თავისუფალი უნივერსიტეტი

საუკეთესო განათლება საუკეთესო აბიტურიენტებს

ზოგადი ინფორმაცია

თავისუფალი უნივერსიტეტი დაარსდა 2007 წელს. მასში შევიდა საქართველოში არსებული ორი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი - ბიზნესის სკოლა (ESM) და აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი.

უნივერსიტეტის პროგრამები ყოველწლიურად ფართოვდება. ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტში რიგით მესამე სკოლა ამოქმედდება, რომელიც სტუდენტებს შესთავაზებს საერთაშორისო დონის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს სამართალში. სამართლის სკოლაში სტუდენტები ქართული საგანმანათლებლო სისტემის სამართალმცოდნეობის სრულიად ახალ დარგს - ეკონომიკურ სამართალს დაეუფლებიან.

თავისუფალი უნივერსიტეტში სწავლა მიმდინარეობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით. ამასთანავე, უნივერსიტეტში არსებობს მოსამზადებელი და მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამები, მოქმედებს რამდენიმე სამეცნიერო და კულტურული ცენტრი.

დღეისათვის თავისუფალი უნივერსიტეტში სწავლობს 610 სტუდენტი, მათ შორის, 509 - ბაკალავრიატზე, 95 - მაგისტრატურაზე და 6 - დოქტორანტურაზე.

კურსდამთავრებულთა 98 პროცენტი დასაქმებულია, დანარჩენი სწავლას საზღვარგარეთ განაგრძობს.

თავისუფალი უნივერსიტეტი ფლობს ეროვნულ და საერთაშორისო აკრედიტაციებს.

თავისუფალი უნივერსიტეტი არის Microsoft-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების აკადემიის ერთადერთი სრულყოფილი წევრი საქართველოში.

თავისუფალი უნივერსიტეტი არის მსოფლიოში ყველაზე დიდი ახალგაზრდული ორგანიზაციის AIESEC-ის გლობალური ქსელის წევრი, რაც საშუალებას აძლევს სასწავლებელს, ითანამშრომლოს 107 ქვეყნის 1800-ზე მეტ უნივერსიტეტთან.

თავისუფალი უნივერსიტეტის პროექტს აფინანსებს ცოდნის ფონდი, რომელიც შექმნილია განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერის მიზნით. ამ დროისათვის ფონდს პროექტის პირველ ეტაპზე 10 მილიონი ლარის ინვესტიცია აქვს გახორციელებული, მომდევნო ეტაპზე ინვესტიცია 50 მილიონ ლარამდე გაიზრდება.

თავისუფალი უნივერსიტეტს საკონსულტაციო მომსახურებას უწევს მსოფლიო კლასის საგანმანათლებლო-საკონსულტაციო ფირმა Chartwell Education Group.

თავისუფალი უნივერსიტეტი - ახალი სიტყვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შიშობა

ამჟამად ნუცუბიძის პლატოზე მთავრდება საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობა-რეკონსტრუქცია. თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობა სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სასწავლო სტანდარტების მოთხოვნებს.

შენობაში არის თანამედროვე საკონფერენციო დარბაზი, მდიდარი ბიბლიოთეკა, სასამართლო დარბაზის ტიპის აუდიტორიები სამართლის სკოლის სტუდენტებისთვის, თანამედროვე სავარჯიშო დარბაზი და კომფორტული კაფეტერია.

თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიები

თავისუფალი უნივერსიტეტი სასწავლო პროცესში გამოიყენებს უახლეს სასწავლო ტექნოლოგიებს. უკაბელო ინტერნეტი უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზეა.

უნივერსიტეტში გარკვეული მოდულები მთლიანად ელექტრონულ ფორმატშია წარმოდგენილი, შესაბამისად, საჭირო კრედიტების დასაგროვებლად, აუცილებელია, ყველა სტუდენტს ჰქონდეს notebook. Notebook-ებით სტუდენტებს თავისუფალი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს.

თავისუფალი უნივერსიტეტს ამ წლიდან ექნება წვდომა მდიდარი ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზასთან. ეს ფაქტი ერთგვარი გადწყვეტაა სტუდენტისათვის პრობლემის, რომელიც ძვირადღირებული სახელმძღვანელოების ერთბაშად შექმნასთანა დაკავშირებული.

ტელეპრეზენტის სალექციო სისტემა თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალებას აძლევს მსოფლიოში აღიარებული უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების სალექციო კურსები მოისმინონ. ტელეპრეზენტის იძლევა სრულყოფილი ლექციების ჩატარების შესაძლებლობას - მიუხედავად გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სხვაობისა, სტუდენტსა და უცხოელ ლექტორს შორის უპრობლემოდ მყარდება კითხვა-პასუხის რეჟიმი, შესაძლებელია დისკუსიაში ერთდროულად რამდენიმე ადამიანის მონაწილეობა, ჯგუფური დავალებების შესრულება.



თავისუფალი უნივერსიტეტის ახალ შენობაში შექმნილია ყველა პირობა იმისთვის, რომ სტუდენტმა კომფორტულად იგრძნოს თავი და უნივერსიტეტის კედლებში მეტი დრო გაატაროს.

თავისუფალი უნივერსიტეტის უმთავრესი ამოცანაა, მიიზიდოს საუკეთესო აბიტურიენტები და შეუქმნას მათ ხელსაყრელი პირობები სრულყოფილი განათლების მისაღებად.

თავისუფალი უნივერსიტეტი პირველი კერძო სასწავლებელია, რომელმაც სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა აამუშავა. პროგრამა ორი მიმართულებით მოქმედებს: **საუკეთესო - საუკეთესოებს და ისწავლე დღეს - გადაიხადე ხვალ.**

გასულ წელს, ამ პროგრამის ფარგლებში, ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგების მქონე სამმა აბიტურიენტმა სრული ოთხნობიანი დაფინანსება მიიღო, ხოლო შედეგების მიხედვით მომდევნო სტუდენტებს მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლათ შეღავათიანი სტუდენტური სესხით.

თავისუფალი უნივერსიტეტში სწავლა შეუძლია ყველას, მიუხედავად ოჯახის შემოსავლისა.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, თავად დაიფინანსონ საკუთარი სწავლება და სტუდენტობის ასაკიდანვე მიეჩვიონ დამოუკიდებლობას.

წელს სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა კიდევ უფრო გაფართოვდება.

წელს გრანტს 9 საუკეთესო აბიტურიენტი მიიღებს, ხოლო შეღავათიანი სტუდენტური სესხით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება 5 სტუდენტს!

თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა (ESM)

ზოგადი ინფორმაცია

- დაარსდა 1992 წელს
- სწავლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში კურსდამთავრებულთა 84% დასაქმებულია. დანარჩენი სწავლას განაგრძობს საზღვარგარეთ
- კურსდამთავრებულთა 23% მუშაობს საერთაშორისო კომპანიებში



სტუდენტების სწავლების დარბაზი

- კურსდამთავრებულთა 18%-ს აქვს საკუთარი ბიზნესი
- უფროსკურსელთა 45% სწავლის პარალელურად მუშაობს თავისი სპეციალობით
- ბიზნესის სკოლაში (ESM) მოქმედებს საბაკალავრო პროგრამა **ბიზნესის ადმინისტრირებაში** და საბაკალავრო პროგრამა **საბანკო საქმეში**

სტატისტიკა და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

- უკვე 15 წელია თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის (ESM) წარჩინებული სტუდენტები რეგულარულად მიემგზავრებიან გერმანიაში სასწავლებლად და პრაქტიკის მისაღებად. წელს სკოლამ ტრადიციას არ უღალატა და საბანკო საქმის ფაკულტეტის ორი საუკეთესო სტუდენტი გაგზავნა გერმანიაში, პარტნიორ სკოლებში თეორიულ სემესტრზე

- გერმანიაში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბიზნესის სკოლის (ESM) ორმოცდარვა სტუდენტმა გააგრძელა სწავლა
- ჰარვარდის, კორტონის, ბარსელონის ბიზნესის სკოლების, ემორის, კემბრიჯის უნივერსიტეტების, ლონდონის ეკონომიკის სკოლის, INSEAD-ის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლა გააგრძელა ოცდაოთხმა კურსდამთავრებულმა

- ბიზნესის სკოლის წარჩინებული სტუდენტები ზაფხულში საინტერესო პროგრამებით მიემგზავრებიან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. უკვე ორი წელია ამ ქვეყნების რიგს ესპანეთიც შეემატა

თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

ზოგადი ინფორმაცია

- დაარსდა 1992 წელს
- კურსდამთავრებულთა 90% დასაქმებულია
- წამყვანი დიპლომატიურ თანამდებობებზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დასაქმებულია კურსდამთავრებულთა 10%
- უცხოურ უნივერსიტეტებში ასწავლის 16 კურსდამთავრებული
- აზიის და აფრიკის ინსტიტუტში ასწავლის 4 მონვეული პროფესორი (კაიროს, სეულს, პეკინსა და ტოკიოს უნივერსიტეტებიდან)
- დოქტორის ხარისხი აქვს 16 კურსდამთავრებულს
- საზღვარგარეთ სწავლა გააგრძელა სტუდენტების 60%-მა აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობებისა (ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები)



აღმოსავლეთმცოდნეობის (არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, სინოლოგია) საბაკალავრო პროგრამები

და აღმოსავლეთმცოდნეობის (არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, სინოლოგია) საბაკალავრო პროგრამები

სტატისტიკა და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

- სტუდენტების 60%-მა სწავლა გააგრძელა ოსაკას იაპონური ენის ინსტიტუტში, პეკინის, ალექსანდრიის, ნიუ დელის, სამსუნის უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების ფარგლებში
- ტოკიოს, პეკინის და ანკარას უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებზე სწავლა გააგრძელა 12-მა კურსდამთავრებულმა

თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამა - სამართალმცოდნეობა აბიტურიენტთათვის

სამართალმცოდნეობა აბიტურიენტთათვის - სამართლის სკოლის ოთხნობიანი სასწავლო პროგრამა ღია კარის დღეების პარალელურად ჩატარდება.

ლექციებს წაიკითხვენ თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორები. ლექციები იქნება ინტერაქტიული. თითოეული ლექციის შემდეგ აბიტურიენტები დაიყოფიან მცირე ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი იმუშავებს კონკრეტული კაზუსის (ქეისის) ამოხსნაზე და შემდეგ პროფესორთან ერთად განიხილვენ შედეგებს.

სამართალმცოდნეობა აბიტურიენტთათვის - სამართლის სკოლის ოთხნობიანი სასწავლო პროგრამა ღია კარის დღეების პარალელურად ჩატარდება.

ლექციებს წაიკითხვენ თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორები. ლექციები იქნება ინტერაქტიული. თითოეული ლექციის შემდეგ აბიტურიენტები დაიყოფიან მცირე ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი იმუშავებს კონკრეტული კაზუსის (ქეისის) ამოხსნაზე და შემდეგ პროფესორთან ერთად განიხილვენ შედეგებს.

იურიდიული ოლიმპიადა და სწავლის დაფინანსების მოპოვების რეალური შესაძლებლობა

სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამა - **სამართალმცოდნეობა აბიტურიენტთათვის** - დასრუდება იურიდიული ოლიმპიადით.

ოლიმპიადაზე პირველ ადგილზე გასული აბიტურიენტი, თავისუფალი უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში, მიიღებს სასწავლო გრანტს, რომელიც სრულად ფარავს სამართლის სკოლის ბაკალავრიატში სწავლების საფასურს.

მეორე ადგილზე გასული მონაწილე, თავისუფალი უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში, მიიღებს სასწავლო გრანტს, რომელიც ფარავს ორი წლის სწავლის საფასურს. მესამე ადგილზე გასული მონაწილე, თავისუფალი უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში, მიიღებს გრანტს, რომელიც ფარავს პირველი წლის სწავლის საფასურს.

აბიტურიენტთა საჭურავლად

სამართლის სკოლის პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა აბიტურიენტებმა, უნდა შეავსონ თავისუფალი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.freeuni.edu.ge) არსებული სააპლიკაციო ფორმა, დაასაბუთონ მოტივაცია და გადმოაგზავნონ აღნიშნული მასალები შემდეგ ელექტრონულ მისამართზე law@freeuni.edu.ge ან მოგვანოდონ მისამართზე: ნუცუბიძის ფერდობი, პირველი მიკრორაიონი, თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობა. **საბუთების მიღების ბოლო ვადაა 1 მარტი** ან დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომრებზე + (995 32) 51 94 81; + (995 99) 41 65 65

მონაწილეთა შერჩევა მოხდება მოტივაციის დასაბუთების განხილვის საფუძველზე. **სწავლა დაიწყება 5 მარტს და დასრულდება 9 მარტს. ლექციები ჩატარდება - 16:00 სთ-დან 20:00 საათამდე.**

დღის განრიგი
ლექცია - 16:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე
თემატური დავალების მიცემა და ჯგუფებად დაყოფა - 17:00 სთ-დან 17:15 სთ-მდე
შესვენება (coffee break) - 17:15 სთ-დან 17:30 სთ-მდე
ჯგუფური მუშაობა - 17:30 სთ-დან 18:00 სთ-მდე
შესრულებული სამუშაოს განხილვა - 18:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე

იურიდიული ოლიმპიადა, რომელიც ორი ეტაპისაგან შედგება, გაიმართება 10-11 მარტს. 11 მარტს გამოვლინდებიან ოლიმპიადის გამარჯვებულები.

პროგრამაზე დამატებითი ინფორმაციისათვის ესტუმრეთ თავისუფალი უნივერსიტეტის ვებგვერდს: www.freeuni.edu.ge

მასწავლებელთა ფორუმის მიმართვა მანანა ლურჯუმიანიძეს!

„კართაბენი უნდა დაინბრეს“

გავეცანი თქვენი მეუღლის მიერ საკუთარი ორგანიზაციის გაზეთში („განათლების სამყარო“ 1-15 იანვარი.) გამოქვეყნებულ წერილს – „წრუნუნ-წრუნუნის ახალი ვენებანი“, რომლის მთავარი მიზანია ჩვენი კოლეგის პედაგოგისა და ჟურნალისტის, **დათო ფერაძის** შეურაცხყოფა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენი გადამწყვეტილების სისწორეში, როდესაც ერთი წლის წინ დავტოვეთ თქვენი ორგანიზაციის რიგები და შევინარჩუნეთ მოქალაქეობრივი ღირსება. რა უნდა ეწოდოს თქვენს ღვარძლით აღსავსე ცილისნამებებს, თუ არა შეურაცხყოფა, უზნებობა და ტერორი იმ პედაგოგის მიმართ, რომელმაც გაბედა და დაინყო თქვენს საქმიანობაზე ჟურნალისტური გამოძიება. თქვენ იმედოვნებდით, რომ მას ამოსვლიდით და მორალურად მოკლავდით, მაგრამ გავიწყებებთ, რომ სუფთა ადამიანს ლაფიცი ვერ გასვრის. დ. ფერაძეს რეკლამა არ სჭირდება. ჩვენთან ჩატარებული ყველა ანონიმური გამოკითხვის შედეგად, ის არის ერთერთი ყველაზე საყვარელი, პროფესიონალი და მოთხოვნადი პედაგოგი. ამ შეურაცხყოფაზე კი გეტყვი, რომ „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდება“ და რომ ყველა საკუთარი საზომით არ უნდა ვაზომოთ. თქვენი გაღიზიანება სინამდვილეში გამოწვეულია დ. ფერაძის მიერ ჟურნალისტური გამოძიების პრო-

ცესში გამოვლენილი ფაქტებით, რაზეც ჩვენ კიდევ ერთხელ მოვიტხოვთ საჯარო მასშტაბს.

1. აგვისტოში, ასეთ გამჭვირვალე ორგანიზაციაში რატომ მოხდა მასწავლებელთა უფლებებისთვის მებრძოლი პრეზიდენტის (თქვენს) დროს, მასწავლებელთა საწევროებით შექმნილი ქონების – ქვიშხეთის აგარაკის გაჩუქება ამავე პრეზიდენტის (ანუ თქვენს) სიძეებზე?

2. თქვენ შანტაჟის გზით მიადნით იმას, რომ საქართველოს, დაახლოებით, 1400 სკოლის დირექტორი საკუთარი ხელფასიდან გირიცხავთ 1%, რაც ჯამში, ყოველთვიურად რამდენიმე ათასეულ ლარს შეადგენს. ეს არის მათი „ხარკი“ სიმშვიდის სანაცვლოდ! რომელი კანონის საფუძველზე კრფთ თქვენს „ხარკს“, მაშინ, როდესაც თვით თქვენ მიერ მიღებული წესდებაც კი გიკრძალავთ ამას!

3. უფრო მეტიც: თქვენ, აი, ამ „მოთვინიერებულ“ დირექტორებს აიძულებთ თქვენთან ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე დაარღვიონ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 51-ე მუხლი და თქვენს სასარგებლოდ ჩარიცხული საბანკო ოპერაციების შედეგად ზიანი მიაციენონ საკუთარ სკოლებს, ე.ი. სახელმწიფო ბიუჯეტს! არის თუ არა ეს სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი? თქვენ არც ერთ სკოლასთან არ გაქვთ გაფორმებული ამ სა-

ბანკო ოპერაციების თანხების ანაზღაურების ვალდებულება?! სახელმწიფო სახსრების ხარჯვა რაში გენაღვლებათ მაშინ, როდესაც ამას არავინ ითხოვს?!

4. თქვენ ასევე აბოლუტურად უკანონოდ ეწვეით სკოლების ბუღალტრულ შტაბს, ზეგანაკვეთურ შრომის ექსპლუატაციას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, გეკითხებით, რატომ არ აფორმებთ ბუღალტრებთან კონტრაქტებს, რატომ არ აღიარებთ მათ შრომას ზეგანაკვეთურად და არ უნაზღაურებთ?

5. თქვენ ლანძღვა-გინებით გაისტუმრეთ შემწობისთვის მოსული სამაჩაბლოდან დევნილი ერედველი პედაგოგები, იმ მიზეზით, რომ სპმთპ საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ გადახდილი სანჯვრებით ქუთაისში რესტორანში ორჯერ (02.05.08; 30.11.08) მოაწყვეთ 13-ათასლარიანი ბანკეტი (თითო), თბილისში 8-ათასლარიანი ე.წ. კორპორაციული ღრეობა (07.01.09). როდესაც ამას აკეთებდით, მაშინ სპმთპ საქველმოქმედო ორგანიზაცია იყო?!

6. დ. ფერაძის დისკრედიტაცია პირველი არ არის თქვენს „ლეგენდარულ“ ბიოგრაფიაში, არც ჩვენ და არც ქუთათურებს ჯერ გულმკერდ ვინც ვიცნობთ. გავიხსენოთ თქვენი მოღვაწეობის აკვანი, სადაც ხშირად ანუხებდით

თქვენი „ზნეკეთილობით“ პატიოსან მოქალაქეებს, მაგალითად, თქვენს მეგობარს შეენირა გურამ ლარცულიანის ოჯახი, ვახშის გადაუხდელობის გამო ჯერ ბინა წაართვეთ, შემდეგ კი მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამ „სასახელო“ წარსულის პიროვნებები გულზე მჯიღს იცემთ და ვაჟკაცობას ჩემულობთ!

7. მიგვაჩნია, რომ თქვენი სტილია შანტაჟი, ინტრიგა, ჩივილი, სკანდალი, შავი პიარი თქვენი ქმედებების მამხილებელი ადამიანების მიმართ. ვინარჩუნებთ რა ღირსებას, არ ვაპირებთ თქვენს წინაშე დავით ფერაძის გამართლებას, თუმცა გამოვთქვამთ აღფრთხილებას მისი პიროვნების, ღირსების უპრეცედენტო შეურაცხყოფის გამო. დადგა დრო, წერტილი დაესვას თქვენს პარაპსს! „კართაბენი უნდა დაინბრეს!“

თეა თუთბერიძეს აღძრას სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში „პროფკავშირების შესახებ კანონის“ 25.3 მუხლის გაუქმების მოთხოვნით, რადგან ის პირდაპირ წინააღმდეგობაშია „საქართველოს შრომის კოდექსთან“ (კანონთა შორის კოლიზია);

4. ეთხოვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დაუშვას ცირკულარული წერილი სკოლებში აღნიშნული სამართალდარღვევების არდაშვების მიზნით;

5. ეთხოვს „საქართველოს განათლების სინდიკატს“, მიანოდოს ინფორმაცია „განათლების საერთაშორისო ინტერნაციონალს“ სპმთპ-ს კანონსწინააღმდეგო საქმიანობის შესახებ;

6. ამ დარღვევების შესახებ ეცნობოს სახალხო დამცველის აპარატს;

7. მოწვეულ იქნეს დედაქალაქის პედაგოგიური საზოგადოების ყრილობა (სპმთპ-ს მიმართ ერთიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით). ამ მიზნით შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი.

ფორუმის მონაწილეთა სახელით, საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ქეთევან დოლიძე, 116-ე საჯარო სკოლის პედაგოგი

ინფორმაცია

„გალობანი სინანულისანი“

9 თებერვალს, წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისთან დაკავშირებით, ჩვენი სკოლის V, IX და XI კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს გაკვეთილი-სპექტაკლი „**გალობანი სინანულისანი**“ (ორგანიზატორი – ისტორიის მასწავლებელი **დათო ფერაძე**). მთავარი აქცენტი გაკვეთილი იყო წმინდანი მეფის პიროვნულ თვისებებზე და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ შედეგებზე. V კლასის მოსწავლეებმა ახლებური ინტერპრეტაციით წარმოადგინეს მეფის ბავშვობა და მისი სურვილი – ესხნა ქვეყანა გარეშე დამპყრობლებისაგან, ხოლო, უფროსკლასელებმა – დავითის მეფობისა და მოღვაწეობის პერიოდი. როგორც ვიცით, დავით აღმაშენებელმა ძლიერი და კარგად განვითარებული სახელმწიფო შექმნა, გამართულად მუშაობდა სახელმწიფო აპარატი. სპექტაკლზე მეფის ბოლო დარბაზობის სცენა გათა-

მაშდა, სადაც დავით IV თავისი ვეზირებისა და სხვა სახელმწიფო მოღვაწეების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს იბარებს (ეს ნაწილი ისტორიული ფაქტი არ არის და მხოლოდ სცენარით იყო გათვალისწინებული). ანგარიშის ჩაბარებით კიდევ უფრო გამოიკვეთა საქართველოს სახელმწიფოს იმდროინდელი მნიშვნელობა, კულტურული განვითარების დონე და მართვის მოქნილობა. დარბაზობის სცენარით უფრო ადვილად აღვიქვით მისი მმართველობის ისტორია და სახელმწიფოს თავიებურება.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი არის ავტორი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებისა „გალობანი სინანულისანი“, სადაც ავტორი ყურადღებას ამახვილებს თავის პიროვნულ ცოდვებზე. თვით ქვეყნის ტერიტორიული გაფართოების მცდელობასაც კი ცოდავდ მიიჩნევს. იგი განიცდის, რომ უფრო მე-

ტი სიკეთის გაკეთება შეეძლო, ვიდრე გააკეთა. ეს ნაწარმოები ღონისძიების ორგანიზატორმა, მცირე შემოკლებით, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაზე გადმოცა. სპექტაკლის საფინალო ნაწილში მეფე მომნაწიელების პოზაში თავად წარმოთქვამს გალობანის სტრიქონებს. მუსიკალური გაფორმებისას გამოყენებული იყო ქართული მრავალხმიანი გალობა და სიმღერა.

მოსწავლეთა აზრით, სპექტაკლმა უფრო მეტი ინტერესი გამოიწვია საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთისადმი და სერიოზული შედეგებით როლიც შეასრულა. პირადად მე, გავიგე ბევრი სიახლე იმიტომ, რომ თავად ვასრულებდი დავით აღმაშენებლის, როგორც ჰიმნოგრაფის, როლს.

გიორგი საკაბლიშვილი
თბილისის №116 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე



მოსწავლე უპოეჟი

* * *

ივლისის ცხელი, მთვარისა და ვარსკვლავების ღამე იყო. კაკო თავის სახლის აივანზე იდგა, მთვარეს უყურებდა, ფიქრობდა თავის წარსულზე, სკოლასა და ყოფილ თანაკლასელებზე. მაშინ იგი თქვენსმეტი წლის იყო და უმადლესში ჩასაბარებლად ემზადებოდა. დატვირთული დღის შემდეგ, ძილის წინ, გადამწყვიტა სუფთა ჰაერი შეესუნთქა და სავსე მთვარის ყურებით დამტკბარიყო. „მყავდა მტერი? ან ვინ იყო ის?“ – ფიქრობდა კაკო. „აბა რა, თუნდაც ზაზაია. ყოველთვის ცდილობდა ჩემს დაბეზღებას, ცილისნამებას, ბევრი შეურაცხყოფა მომეყენა, ხშირადაც ვჩხუბობდით. გიორგი! სკოლის სახელმძღვანელო დაახია და მე დამაბრალა! ამის გამო ბევრი მისაყვედურეს. მაგრამ მტერი ხომ ცუდის მსურველია, იმას კი უბრალოდ შეეშინდა და ამიტომ დამმამა ცილი, სასჯელის შიში კი სიძულვილი არ არის.“

ზაზაიას კი სწავლის ჩვევა არ ჰქონდა, ამიტომ უპირატესობის მოპოვებას სხვისი დაცინვით ცდილობდა. მას მე კი არა, ჩემი წარმატება სძულდა, თანაც ასეთი საქციელისკენ ემზაკი

უბიძგებდა. მაშ, ადამიანთა შორის მტერი არ მყოლია, მხოლოდ ეშმაკია ჩემი მტერი. საერთოდ, მტრები, როგორც ასეთი, მხოლოდ დიდ ადამიანებს ჰყავთ. ისეთებს, როგორებიც არიან: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი... ისინი სამშობლოს დაცვას ცდილობდნენ. მე და ჩემნაირებს მხოლოდ არამოსიყვარულენი გვყავს. თუ ადამიანი ერთხელ გვეტყვის ცუდს, ეს არ ნიშნავს, რომ ის შენი მტერია. დედა ამბობს, რომ „ნამდვილი მტერი უნდა დავიმსახუროთ“ და ეს მართალიცაა.

ამასობაში ეკლესიის ზარმა თორმეტჯერ დარეკა. „ფიქრებმა მეტისმეტად გამიტაცეს, ხვალ ხომ სამეცადინო მაქვს!“ – გაიფიქრა კაკო, საძინებელში შევიდა და მაშინვე ჩაეძინა... გაღვიძების წინ საოცარი სიზმარი ნახა: ვითომ, ზაზაიას უზარმაზარი, მწვანეთვალეობა, დიდკლანჭება კაბა ადამიანის ენით ეუბნებოდა: „დასცხე, დასცხე! გეშინია? დედიკოს ბიჭი ხარ?“ „არა, არა!“ – ღრიალებდა ზაზა და მთელი ძალით ურტყამდა.

ბილიკი

პატარა, ბალახით დაფარული და თითქმის შეუმჩნეველი ბილიკი აბობოქრებელი ზღვისაგან ნალექებს მოელოდა. ადრე ძალზე მნიშვნელოვანი გზა იყო. მასზე უამრავი ადამიანი, ცხოველი და მანქანა მიმოდიოდა. ადამიანები ჯვებრებით ამაგრებდნენ და ასუფთავებდნენ... გავიდა ხანი და ჩვენი ბილიკი ყველას გადააგინებდა. ხალხმა უკეთესი გზა მოძებნა და ჩვენი ბილიკი შეუბრალებელი ბილიკის წინაშე აღმოჩნდა. ძლიერმა წვიმებმა, თოვლმა და მენყურმა თავისი გაიტანეს. გზის უდიდესი ნაწილი ჩამოინგრა, გადარჩენილზე კი ბალახმა გაიხარა. უკანასკნელად მასზე სამი თვის წინ უპატრონო, ჭუჭყიანმა ძაღლმა კოჭლობით გაიარა, ჩვენი ბილიკის მსგავსად უბედურმა. შიმშილისაგან ნეკნები უჩანდა.

ჩვენს ბედუქულმართს ხშირად ესიზმრებოდა, რომ მასზე ისევ უამრავი ადამიანი დადის, ხოლო მშენებლები ჯვებრებს უმაგრებენ, ასეთი სიზმრები იმედს აძ-

ლევდნენ და იგი მხნედ განაგრძობდა არსებობას. ერთხელ ზღაპრული სიზმრის შემდეგ გამოღვიძებულმა დაინახა, რომ მხეც ტალღებს დაეწვია ჯვების შემორჩენილი ნაწილიც და ახლა მას შეეძლო თავისი შევლა. „ზღვა, ზღვაო! რატომ არ გეზრალეები? მე ხომ შენთვის არაფერი დამიშავებია!“ – ესლა მოასწრო ჩვენმა უბედურმა და ერთი ყველაზე დიდი ტალღა მივარდა და ადგილს მოსწყვიტა. იგი ჯერ წელა მიექანებოდა ზღვისაკენ, მერმე უფრო სწრაფად...

ყველაფერი დამთავრდა. ზღვა დანყნარდა, ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა. ბილიკმა დაასრულა თავისი გრძელი სიცოცხლე და მის ნამსხვრევებს პატარა ტალღები ეთამაშებოდნენ.

ესმა გუმბარიძე
უსინათლო ბავშვთა სკოლა, IX კლასი
თბილისი 2009 წელი

„...ღმერთი უნ კერძო იქნება“

შეკითხვებს უპასუხებს ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლექტორი, დეკანოზი ზიქინა (გუნია)

– დღეს, საქართველოში, სხვადასხვა ოკულტური მიმდინარეობების მომრავლება შეინიშნება, რომლებიც, მეტ-ნაკლებად, თვით თუ შავ მაგიას მიეკუთვნებიან. რას გვეტყვით ამის შესახებ?

– დღევანდელი სინამდვილისათვის ნიშანდობლივია სხვადასხვა სექტებისა და ცრუ სწავლებების მოძალევა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანთა ცნობიერებას და უპირველესად მოზარდი თაობისათვის არის დამლუპველი. არაერთი შემთხვევაა, როცა მართლმადიდებლურ ტრადიციად თუ მოძღვრებად იხატებოდა ის წარმართული ცრურწმენები და სწავლებები, რომლებსაც ეკლესია საუკუნეთა მანძილზე ებრძოდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარი შეხედულებების რეკლამირებას ზოგიერთი ტელეარხი და ჟურნალ-გაზეთიც უწყობს ხელს, რაც მცდარი გეზით მიმართავს ადამიანთა ცნობიერებას.

– ყოველი წლის 1 ნოემბერს, ამერიკასა და ევროპაში, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი „ჰელოუინის“ პოპულარულ დღესასწაულს აღნიშნავს. უკვე რამდენიმე წელია, საქართველოშიც აღნიშნავენ ამ არატრადიციულ დღესასწაულს, მცირე მასშტაბებით, მაგრამ ერთგვარი ზარ-ზეიმით. როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?

– „ჰელოუინის“ წარმართული ფესვები აქვს და, ძველი კულტურული ტრადიციის მიხედვით, გარდაცვლილთა სულების დაშინებას და განდევნას ისახავს მიზნად. ამ დღეს ამერიკასა და, უკანასკნელ წლებში, ევროპაშიც უცნაურად ჩაცმული ბავშვები ქუჩებში დადიან, სახლების კარზე აკაკუნებენ და ყველას, ვინც ტკბილეულით არ გაუმასპინდლდება, რაიმე ცუდის გაკეთებით ემუქრებიან: „მომეცი, თორემ ინანებ!“ – ეუბნებიან მაგებიანი შემოსილი ბავშვები ადამიანებს. როგორც მეცნიერები და რელიგიური მოღვაწეები აცხადებენ, „ჰელოუინის“ დღესასწაული წარმართული წარმოშობისაა და ბრიტანეთსა და ირლანდიაში კელტი დროიდების დასახლების დროიდან იღებს სათავეს. კელტები, I ნოემბრისათვის სავესტისა და ზაფხულის დასასრულს აღნიშნავდნენ. ეს დღესასწაული კელტური ახალი წლის აღმნიშვნელი იყო. „ჰელოუინის“ ნეონარმართული დღესასწაული, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო პოპულარული ხდება, შეუთავსებელია ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან. ქრისტიანული თვალთახედვით, ბავშვები, რომლებიც 1 ნოემბრის „ჰელოუინისთვის“ შავი სამასკარადო ტანსაცმლით არიან შემოსილნი, თავისდაუნებურად ბოროტ ძალას ემსახურებიან. როდესაც ადამიანებს არ ესმით „დღესასწაულის“ არსი, რომელიც მონანილობენ, ამან შეიძლება მეტად საშიშ შედეგებამდე მიგვიყვანოს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ჰელოუინის“ ზეიმი ფართოდ გააშუქა ტელევიდიამ, თუმცა ჟურნალისტები რატომღაც ნაკლებად ინტერესდებიან მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციით და ამ დღესასწაულის ოკულტური ფესვებით.

მართლმადიდებლობისათვის არათუ რომელიმე, არამედ ნებისმიერი სახის მკითხაობა და, მათ შორის, ადამიანთა ბედის ვარსკვლავთა და პლანეტების ურთიერთგანლაპარაკებასთან დაკავშირება მიუღებელია, მაგრამ არამც და არამც ხილული ზეცის – ვარსკვლავიერი ცის თანავარსკვლავედებთან დაყოფა სხვადასხვა ასტრონომიული გამოთვლებისათვის.

– ზოგადად ვარსკვლავთმისნობის, ასტროლოგიის შესახებ როგორი პოზიცია აქვს ეკლესიას?

– ბიბლიაში არაერთგან არის ნახსენები და დაგმობილი ვარსკვლავთმისნობა. ამ მიმართებით, ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მართლმადიდებლობისათვის არათუ რომელიმე, არამედ ნებისმიერი სახის მკითხაობა და, მათ შორის, ადამიანთა ბედის ვარსკვლავთა და პლანეტების ურთიერთგანლაპარაკებასთან დაკავშირება მიუღებელია, მაგრამ არამც და არამც ხილული ზეცის – ვარსკვლავიერი ცის თანავარსკვლავედებთან დაყოფა სხვადასხვა ასტრონომიული გამოთვლებისათვის.


ვინმესთვის იტყვიტ ბლახა ფხის კაციაო და მისი გზაში შეხვედრება დიდად საწყადად მიგაჩნიათ, ეს ეშმაკის სასიამოვნოა ძაო; მას სურს კაცის სიძულვილი ჩაბინებოს გულში, ვინაიდან თვითონ ეშმაკი კაცის მოძულეა, თორემ კაცის ფხის რა შეუძლია თვინიერ ღვთისა?

ვარსკვლავთმეტყველება (ვარსკვლავთმისნობა) რომ ყოველმხრივ მიუღებელია მართლმადიდებლური ცნობიერებისათვის, ამას ეკლესიის წმიდა მათა ღვთივ სულიერი სწავლებიდანაც შევითვობთ. წმიდა იოანე დამასკელი გვმოდღვრავს: „ელინები ამბობენ, რომ ვარსკვლავებისა და მათი თანაშეყრის შედეგად განეგება ყოველივე ჩვენული. ამისთვის არსებობს ასტროლოგია. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ის ნიშნები, რაც მათგან ხდება, ეხება ნვიშასა თუ უწინმობას, სიგრილესა თუ სიმთბობს, სინოტივესა თუ სიმშრალეს, აგრეთვე ქარს და სხვა ამგვარს, მაგრამ არანაირად – ჩვენს უღელსა და სიხარულს; თვითუფლებრივი დავიბადეთ ჩვენ შემოქმედისგან, რის გამოც ჩვენს უღელსა და სიხარულს ვართ ვარსკვლავებისა და მათი თანაშეყრის შედეგად განეგება ყოველივე ჩვენული.“

მართლაც, თუ ვარსკვლავების მსვლელობის მიხედვით ვაკეთებთ ყოველივეს, ე.ი. აუცილებლობის მიხედვით ვაკეთებთ, რასაც ვაკეთებთ... ამრიგად, თუ აუცილებლობის მიხედვით წარემართება და მდინარებს ყოველივე, მაშინ ველარც ღმერთი ვერ აღასრულებს წარმართველობასა და თავისი ქმნილებების წინაგანმგებლობას.“

– ხშირად ამბობენ, მოგვებმა ხომ იწინასწარმეტყველეს მაცხოვრის შობაო, როგორ აფხნათ ეს?

– მეტი სიხადისათვის IV საუკუნეში მოღვაწე უდიდეს წმიდა მამას, გრიგოლ ღვთისმეტყველს მოვუსმინოთ. მეხუთე სიტყვაში „განგებულების შესახებ“ იგი ასტროლოგიით დაბრკოლებულებს ასე მიმართავს: „ნუ მახსენებთ მე მაცხოვრის უდიდეს დიდებას, მახარებელ ვარსკვლავს, რომელიც აღმოსავლეთიდან მოუძღვოდა მოგვებს იმ ქალაქისაკენ, სადაც აღმობრწყინდა ქრისტე, უჟამო შვილი მოკვდავი მოღვაწისა. იგი (ანუ მახარებელი ვარსკვლავი – დ. ბ. გ.) იმით რიცხვს არ ეკუთვნის, რომელია განმჩხრეკნიც ასტროლოგები არიან, არამედ არაჩვეულებრივი და ამ დრომდე გამოუჩინებელი, ამოკითხული ებრაული წიგნებიდან. სწორედ ებრაული წიგნებიდან შეიტყვევს ქალდეველებმა ამ ვარსკვლავის შესახებ და, როცა განცვიფრებულმა გამოარჩიეს იგი მათ მიერვე დაკვირვებულ ურიცხვ ვარსკვლავთგან, ნახეს, თუ როგორი უცხო, ახალი ელვარებით მოიხევედა ზეცად ებრაელთა მიწისკენ და დაასკვნეს კიდევ მეფის დაბადება და სწორედ იმ დროს, როცა ზეცის მახარებლებთან ერთად, ასტროლოგებმაც თავიანთი სცეს მეფეს, საჭიროდ აღარ უჩნდათ ზრუნვა მათსავე ხელოვნებაზე.“



გვალეებსა და როგორც ადგილობრივ ისე იმ ქართა აღძვრის თაობაზე, რომელიც ყველგან ქრიაან... მზისგან ნაჩვენებ ნიშნათგან ერთ-ერთი უფალმაც გვასწავლა, როცა თქვა: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარე ცაი... მსგავსად ამისა რაჟამს მთვარე თითქოსდა წყლითა გარემოცული, ხოლო მზეს ირგვლივ ე.წ. შარავანდელი აკრავს, ეს ან შაერის წყალთა სიმრავლეს, ან კიდევ მძინვარე ქართა აღძვრას მოასწავებს; ან კიდევ: რაჟამს მზესთან ერთად მის საბილზე ე.წ. თანამდელი შარავანდებიც ამოდიან, ისინი შავის ცვილივებზე მიგვანიშნებენ და კიდევ მრავალი ნიშანი შეუცვნია მათ, რომელსაც მთვარის ავსება და მოკლება უკვლევია... თუ სამი დღის მთვარე წვრილი და დაწმენილია, მშვიდია და ნათელი ამინდს გვაუწყებს, ხოლო თუ მისი რქები შესქელებულია და მენამული ფერისა ჩანს, ღრუბლებიდან დიდძალ წყალს ან მძინვარე ქართა აღძვრას გვპირდება. ვინ არ იცის რამდენი სარგებელი მოაქვს ამ ნიშნებს ჩვენი ცხოვრებისათვის? მეხომალდეს შეუძლია, წინასწარ განჭვრიტოს ქარის ამოვარდნა და ხომალდი ნავსადგურში დააყენოს, მოგზაურს – რაჟამს მოლუშულ შაერს იხილავს, რომელიც ცვილივების მოლოდინშია, თავიდან აიცილოს ზიანი; მინადმოქმენდი კი, რომელიც თესვითა და მცენარეთა მოვლით არიან დაკავებულნი, ამათგან პოულობენ მარჯვე დროს ყოველგვარი საქმიანობისათვის.“

ადამიანთა ცხოვრებისათვის აუცილებელია მნათობთა ნიშნები, რადგან თუკი ვინმე მათი გამოკითხვისას ზომას არ გააფა, ხანგრძლივი გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგად მრავალ სასარგებლო რამეს აღმოაჩენს.

და კვლავ წმიდა მამა დასძენს: „რატომ გვაშინებ ვარსკვლავთა ნიშნების უეჭველობით?“ და აგრძელებს: „მათი ამგვარი ბრძნობანი ობობას ქსელს გავს. თუ მას კოლო, ბუზი ან სხვა ამათი მსგავსი უძღურთავანი მიეხლება, გაეებება და დამარცხდება; მაშინ, როცა, თუ რომელიმე ძლიერი ცხოველი მიუახლოვდა, თავს ადვილად გააღწევს, სუსტ აბლაბუდას გაგლეჯს და გაანადგურებს.“

– მამო, როგორია სიზმარდამჯერი ადამიანი და ის, ვისაც სიზმრების არ სჯერა?

– სიზმარდამჯერე სრულიად გამოუცდელია, ხოლო ვისაც არანაირი სიზმრის არ სჯერა, ის ჭეშმარიტად სიბრძნის მოყვარეა. ასე გვმოდღვრავს წმიდა იოანე კობისალმწერელი.

– შეიძლება თუ არა, რომელიმე ადამიანზე ვთქვათ, ცუდი ფეხი აქვსო? ანუ ცუდი ფეხის კაციაო?

– წმიდა ალექსი ბერი მუშანიას ასე გვასწავლის: „ვინმესთვის იტყვიტ გლახა ფეხის კაციაო და მისი გზაში შეხვედრება დიდად საწყენად მიგაჩნიათ, ეს ეშმაკის სასიამოვნოა ძაო; მას სურს კაცის სიძულვილი ჩავინერგოს გულში, ვინაიდან თვითონ ეშმაკი კაცის მოძულეა, თორემ კაცის ფეხს რა შეუძლია თვინიერ ღვთისა? როცა შენ მიერვე იმგვარ რწმენას, მაშინ ეშმაკიც იმ კაცის შეხვედრის დღეს ცუდს რასმე შეგამთხვევს. მოსპე ესეცა ძაო, მიენდე ღმერთსა, ესევედი მას, მხოლოდ მისი გემიონდეს და ვერარა გავენებს, ვინაიდან ღმერთი შენ კერძო იქნება.“

– ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში წერია: „ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მაცხოვრის თორმეტწივი მოციქული ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით შეურჩევია“. რას იტყვით ამის შესახებ?

– აღნიშნული მოსაზრება ასტროლოგიური სწავლების „უცდომელობისთვისაა“ მოყვანილი, რაც სრულიად შეუსაბამოა მართლმადიდებლურ სწავლებასთან. IV საუკუნეში მოღვაწე წმიდა იოანე ოქროპირი ჭეშმარიტების ამგვარ მოწინააღმდეგეთა მიმართ ასე გვმოდღვრავს: „ეშმაკი იმდენად დაეუფლა მათ, რომ ისინი, ვინც ასტროლოგიით არიან ცდუნებულნი, მაცხოვრის შობის საღვთო ისტორიაშიც პოულობენ მიზეზს, შეიარაღდნენ ჭეშმარიტი სიტყვის წინააღმდეგ. ხომ თქმულა, რომ ქრისტეს შობისას ვარსკვლავი გამოჩნდა, ეს კი ნიშნავს: ამბობენ ისინი, რომ ასტროლოგია უცდომელი მეცნიერებაა. მაგრამ თუ მაცხოვარი ასტროლოგიურ კანონებთან თანხმიერად იშვა, მამ როგორ მოხდა, რომ მან გააცამტვერა ასტროლოგია, უარყო სწავლება ადამიანთა ბედზე, დახშა დემონთა პირნი, განდევნა ცდომილება და დაამხდო ყოველი სახე მისნობისა?“

– ხშირად ამბობენ, რომ ასტროლოგიური წინასწარმეტყველება ახდაო. რა დავახვედროთ პასუხად?

– წმიდა იოანე ოქროპირი გვასწავლის: „როგორ იტყვი შენ, განა რაც იწინასწარმეტყველეს ასტროლოგებმა მრავალი მათგანი არ ახდაო? და რადგან შენ თვითონ განიშორე ღვთის შენევნა, უგულვებელყავ ღვთიური სწავლება (და მათ შორის ისიც, რაც ყოველგვარი მისნობის უარყოფას ეხება) და საკუთარი თავი ადამიანთა ხსნის საღვთო განგებულების მიღმა დააყენე, ეშმაკი თავისი ნებით მართავს და განკარგავს შენს საქმეებს, მაგრამ ის (ანუ ეშმაკი) არ იქს ამას წმინდანებთან მიმართებაში და თუნადც ჩვენ, ცოდვილების მიმართ, რადგან ერთობ გვძავს და განვეშორებით ამგვარ წინასწარმეტყველებებს.“

– გვინტერესებს, თუ შეიძლება მნათობთა ნიშნების რაიმე სახით გამოყენება?

– IV საუკუნეში მოღვაწე წმ. ბასილი დიდი ამასთან დაკავშირებით ასე გვმოდღვრავს: „ადამიანთა ცხოვრებისათვის აუცილებელია მნათობთა ნიშნები, რადგან თუკი ვინმე მათი გამოთვებისას ზომას არ გადავა, ხანგრძლივი გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგად მრავალ სასარგებლო რამეს აღმოაჩენს. ბევრ რამეს ისწავლის თავსხმა წვიმებზე, ბევრსაც

ესაუბრა თამარ ხარაიშვილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი

თავისუფალი უნივერსიტეტი

საუკეთესო განათლება საუკეთესო აბიტურიენტებს

<p>თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა (ESM)</p> <p>სპეციალობები და მისაღები კონტინგენტი: ბიზნესის ადმინისტრირება (სამუშაო ენა ინგლისური) – 65 აბიტურიენტი თუ გსურს, ჩააბარო ბიზნესის ადმინისტრირებაზე, შემოხაზე 036-01 საბანკო საქმე (სამუშაო ენა გერმანული) – 20 აბიტურიენტი თუ გსურს, ჩააბარო საბანკო საქმეზე, შემოხაზე 036-02</p> <p>საფასური: 7,200 ლარი</p>	<p>თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი</p> <p>სპეციალობები და მისაღები კონტინგენტი: საერთაშორისო ურთიერთობები (ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები) აღმოსავლეთმცოდნეობა (არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, სინოლოგია) სულ: 50 აბიტურიენტი თუ გსურს, ჩააბარო აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში, შემოხაზე 036-03</p> <p>საფასური: 5,500 ლარი</p>	<p>თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლა</p> <p>სპეციალობები და მისაღები კონტინგენტი: სამართალმცოდნეობა – 30 აბიტურიენტი თუ გსურს, ჩააბარო სამართლის სკოლაში, შემოხაზე 036 - 04</p> <p>საფასური: 5,900 ლარი</p>
--	---	---

თავისუფალი უნივერსიტეტი ეძებს საუკეთესო აბიტურიენტებს მთელ საქართველოში და უხსნის მათ ფინანსურ ბარიერებს!

თავისუფალი უნივერსიტეტი პირველი კერძო სასწავლებელია, რომელმაც საუკეთესო აბიტურიენტებს ხელშეწყობის პროგრამა შესთავაზა. ნელს პროგრამამ კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო:

საუკეთესო – საუკეთესოებს: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი ქულების მქონე აბიტურიენტები მიიღებენ სასწავლო გრანტს.

ისწავლე დღეს – გადაიხადე ხვალ: თავისუფალი უნივერსიტეტის აბიტურიენტებს, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალ ქულებს დააგროვებენ, შეუძლიათ, უნივერსიტეტში აიღონ შეღავათიანი სტუდენტური სესხი.

წელს სასწავლო გრანტს მიიღებს **9** საუკეთესო აბიტურიენტი. წელს შეღავათიანი სტუდენტური სესხით ისარგებლებს **5** ნარჩუნებული სტუდენტი.

ჩააბარე თავისუფალ უნივერსიტეტში – გახდი წარმატებული!

თავისუფალი უნივერსიტეტის ღია კარის დღეებზე დასწრებისათვის რეგისტრაცია დაიწყო!

წინასწარი რეგისტრაციის პროცედურები:

ელტურმრეტ ჩვენს ვებ-გვერდზე www.freeuni.edu.ge აბიტურიენტთათვის განკუთვნილი სექციას და შეავსეთ აბიტურიენტთა რეგისტრაციის მარტივი ფორმა. მიუთითეთ თავისუფალი უნივერსიტეტის რომელი სკოლის ღია კარის დღეზე გსურთ დასწრება და აირჩიეთ თქვენთვის სასურველი თარიღი.

დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: + (995 32) 51 94 81; + (995 32) 31 21 00

თავისუფალი უნივერსიტეტის ღია კარის დღეების კალენდარი:

ბიზნესის სკოლა (ESM) 1 მარტი 11:00 სთ; 1 მარტი – 15:00სთ; 3 მარტი – 12:00სთ
აზიის და აფრიკის ინსტიტუტი – 2, 4 მარტი, 12:00 სთ
სამართლის სკოლა – 28 თებერვალი – 12:00 სთ; 4 მარტი – 16:00 სთ

ღია კარის დღეები თავისუფალ უნივერსიტეტში:

თავისუფალი უნივერსიტეტი 28 თებერვლიდან იწყებს ღია კარის დღეებს დაინტერესებულ აბიტურიენტებისათვის. აბიტურიენტებს ექნებათ შესაძლებლობა, შეხვდნენ თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორებსა და ლექტორებს, მიიღონ დეტალური ინფორმაცია თავისუფალ უნივერსიტეტზე (რომელიც 2015 წლისთვის მსოფლიოს საუკეთესო სასწავლებლებს შორის იქნება), იქ არსებულ უახლეს სასწავლო ტექნოლოგიებსა და სწავლების მეთოდებზე, მათთვის სასურველ პროგრამაზე, დაათვალიერონ თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობა და მიიღონ თავისუფალი უნივერსიტეტის სამახსოვრო საჩუქრები.

ადგილმდებარეობა

ღია კარის დღეები ჩატარდება თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობის საკონფერენციო დარბაზში.

თავისუფალი უნივერსიტეტის ახალი შენობის მისამართია: **ნუცუბიდის ფერდობი, პირველი მიკრორაიონი.**

თავისუფალი უნივერსიტეტი დაარსდა 2007 წელს. მასში შევიდა საქართველოში არსებული ორი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი – ESM-თბილისი და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. ნელს არსებულ სკოლებს დაემატა სამართლის სკოლა, რომელიც თავის სფეროში ისეთივე სახელს დაიმკვიდრებს, როგორც თავისუფალი უნივერსიტეტის დანარჩენი ორ სკოლას აქვს დამკვიდრებული.



www.freeuni.edu.ge



გახდი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი – ამ შენი ცოდნა დაფასდება!

გახდი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი – გაიგოს მსოფლიოში შენი შესახებ!

გახდი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი – მსოფლიო განათლებას მოაძვს თავისუფლება!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.

E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096

გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოში.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

რედაქციის რეკვიზიტები:
 საქართველოს განკვი
 ზ/კ 220101502,
 ს/კ 202058735,
 ა/ა 123631000